№ 151 24 ენკენისთვე, შაბათი 1866—1877 24 ენკენისთვე, შაბათი № 151

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანკის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლიდა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებისა ტერფ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 სექტემბრიდამ ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანკის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება.

გორში—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ქუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ბექათუბანში—სტანციის ბუფეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ოზურგეთში—თუმანოვის მაღაზიაში.

ახალციხეს—უფ. ალ. ვარძელოვის მაღაზიაში.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

სტამბოლი, 21 სექტემბერს. ამბობენ, სულეიმან-ფაშა ბოლგარიაში მყოფი ოსმალოს არმიის მთავარ-სარდლად არის დანიშნული მეჰმედ-ალი-ფაშის მაგივრად.

ოსმალეთის მთავრობა აგროვებს 10,000 კაცს ახალის ჯარს ჩერნოგორიელების წინაალმდეგ; 2,000 ბაშიბუზუყი და 2,000 ცხენოსანი ჯარი უკვე მისულა მოსტარში.

ლონდონი, 22 სექტემბერს. სულეიმან-ფაშა რაზგრადში მივიდა, რეუფ-ფაშა შიპკოში. მეჰმედ-ალი-ფაშა გადააყენეს ბოლგარიის ოსმალოს არმიის მთავარ სარდლობიდამ.

ვენგრიელების შეთქმულობის გამო, ძალიან ბევრი დაატუსაღეს. ვენგრიაში საშინელი მღელვარებაა ხალხისა.

ლონდონი, 22 სექტემბერს. ადრინდელმა მინისტრმა კემბერლეიმ წარმოსთქვა ერთს ბანკეტზე სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ ის თანაუგრძნობს ახლანდელ ინგლისის სამინისტროს პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმეების შესალებ, რადგან ეს პოლიტიკა ბრიტანიის ინტერესებს იცავსო.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

„მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს (230) ნომერში დაბეჭდილია:

„ჩვენი ყარაიალელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ პირველი გრენადერის დივიზია, რომელსაც „ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი კარგათ იცნობენ და რომელიც კავკასიაში იყო გაგზავნილი, უკვე მისულა ალექსანდრაპოლში და შეერთებია იქაურ მთავარ კორპუსს. დრო და გარებოება დაგვიმტკიცებს ახლა—საკმაოა იქაური ჩვენი კორპუსისათვის ამ ახალი ჯარის მომატება და დაფარული იქნება ამ ზამთარში მაინც ჩვენი სამზღვრები მტრის შემოსევისაგან, თუ არა.“

—

„ყარაიალელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ“-ისა იწერება:

„დერვიშ-ფაშას ხულ-უბანში და საზოგადოთ ბათუმისაკენ 20 ბატალიონზე მომეტებული არ უნდა ჰყვანდეს. ერთი ნაწილი დერვიშ-ფაშის ჯარისა დუნაიზე გაგზავნეს.

„ამბობენ, რომ ამ ოცი ბატალიონიდამ დერვიშ-ფაშამ თითქმის ნახევარი ბათუმით, ართვინითა და არდანუჯით გაგზავნა არტაანისაკენაო. ამბობენ აგრეთვე რომ მუხთარ-ფაშამაც რვა ბატალიონი გაგზავნა აგრეთვე არტაანისაკენო.“

—

ჩვენი ერევნის ატრიადის მოპირდაპირე ოსმალოს კორპუსის უფროსს იზმაილ-ფაშას სტამბოლში დეპეშა მიუწერია, რომ იმან რუსების ბანაკის იგდირის მახლობლად დაიჭირა სიმაღლეები და თავის ჯარით გამაგრდა იქ.

—

„ბირჟის საგენტოს“ ყარაიალელი კორრესპონდენტი იწერება რუსის არმიის მთავარ კვარტირიდამ 10 ენკენისთვეს, რომ ეს მეორეჯერ არისო, რომ მუხთარ-ფაშის არმიაში მყოფ პოლშელებმა ჩუმად შემოაგდეს ჩვენს ბანაკში რუსულად დაწერილი პროკლამაციები, რომელსაც ზედ აწერია „ჩვენს მოძმეთ რუსის ჯარებს“ და რომელშიაც, ზემოხსენებული კორრესპონდენტის სიტყვით, ჩვენს სალდათებს ურჩევენ—ნუ იბრძვით, ერთად აღუდგეთ წინ რუსის მთავრობასაო და სხვ. ამ პროკლამაციებს ქვევით აწერია თურმე „ორგანიზაცია პოლშელების კორპუსისა.“

—

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ინგლისურს გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილია ბუხარესტიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც გვაცნობებს, რომ სულეიმან-ფაშამ ერთი ნაწილი, თავის ჯარისა ამბობენ, (12 ათასი კაცი) გაგზავნა შიპკოდამ ტრაიანის გადასავალით ბალკანზე გადასასვლელად და ეს ჯარი პლევნაში გამაგრებულ ოსმან-ფაშას უნდა მიეშველოსო.

ესვე გაზეთი ამბობს, რომ ამ ჯარს ტირნოვოსა და გაბროვოს შუა ჰქონდა რუსის ატრიადთან შეტაკებაო და ოსმალოები დარჩნენ გამარჯვებულნიო.

—

ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში ბრაილოვიდამ იწერებიან, რომ აქეთკენ ამ ჟამად მშვიდობიანობა არისო; რუსები მდ. იანტრის გარშემო მთებზე მაგრდებიანო.

ამავე გაზეთის სიტყვით, რადგან მდ. ლომთან და ბელაში დაბანაკებულ ცესარევიჩის კორპუსს ახალი (გვარდიის) ჯარები მოუვიდა რუსეთიდამ, ამის გამო იმის მოპირდაპირე მეჰმედ-ალი-ფაშამაც ძალიან ამაგრებს თავის პოზიციებს და შესაძლებელია, რომ აქეთკენ ამ ორ კორპუსს შუა მალე შეტაკება მოხდესო.

—

შევქეთ-ფაშას მიუწერია სტამბოლში 12 სექტემბერს, რომ 20 ბატალიონი ქვევითა ჯარი, ერთი პოლკი ცხენოსანი 16 ზარბაზნით და დიდ ძალი სურსათითა და ტყვია-წამლით ორი საათის სავალზე დგას პლევნოდგან და დარწმუ-

ნიზული ვარო, რომ ამ ჯარის ოსმან-ფაშასთან შეერთებას რუსები ვერ დააბრკოლებენო.

—

ნემეცური გაზეთი „Presse" გვაცნობებს, რომ პოლშიდამ წამოსულის რუსის დივიზიიდამ 13,000 კაცი რუსჩუკის (ცესარევიჩის) არმიაში მისულა და მეორე ნახევარი ამ დივიზიისა პლევნოსთან დაბანაკებულ რუს-რუმინიის არმიას უნდა შეუერთდესო.

საქართველო

დღიური

*** ხვალ, კვირას, ალექსანდროვის ბაღში გამართული იქნება სახალხო სეირნობა, ოსმალეთიდამ გადმოსახლებულ სომხების სასარგებლოთ. ბაღში სამხედრო მუზიკა, სამხედრო მომღერლები, საზანდარი, მუშხუნეები გაართობენ მოსეირნეებს.

ბაღის კარები საზოგადოებისათვის ნასადილევის ოთხ საათზე გაიღება. შესვლის ფასი ერთი აბაზია დანიშნული.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობას მომავალი 20 ღვინობისთვისათვის დაუნიშნავს საზოგადო კრება ამ ბანკის დამწესებელთა. როგორც თფილისისაზედ, ამ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის კრებაზედაც სხვათა შორის, ფინანსთ მინისტრის იმ წინადადებაზედ მოილაპარაკებენ, რომ ბანკმა ადროვოს სარგებლის გადახდა იმ მოვალეთ, რომელნიც ამ ჟამად მოქმედ არმიაში იმყოფებიან.

*** იმერეთიდამ გვწერენ, რომ მუცელამ იკლო აქეთკენაო; მაგრამ, მაგიერად, პირუტყვის ჭირი კი თან-და-თან ვრცელდებაო და განსაკუთრებით ულონის-ძიებო, უექიმო სოფლებში ამ ჭირს უანგარიშო ზარალი მოაქვს სოფლის ხალხისთვისაო.

რამდონათაც ჩვენ გაგვიგია, თუ არ ვცდებით, ამ გავრცელებულ პირუტყვის ჭირის დროს, მთელს ქუთაისის გუბერნიაში მხოლოთ ერთად-ერთი ვეტერინარი (პირუტყვის ექიმი) არის.

*** კახეთიდან გვწერენ რომ იქითკენ ამ ჟამად სრული მშვიდობიანობა არისო; ლეკები ლაგოდეხის მხრიდამ სრულებით გადარეკესო და ამ ნაირად აქეთქენ, ჯერ-ჯერობით, ჩვენ არაფერი შიში აღარა გვაქვსო.

*** „თფილისის მოამბე" გვაცნობებს, რომ თფილისის გუბერნიის სამმართველოს საქმის-მწარმოებელს უფ. ყუზანოვს ამ 21 ენკენისთვეს თავის ქალისათვის რევოლვერი უსვრია და ტყვია მოურტყამს. რა შედეგი ექნება ამ დაჭრილობას, ჯერ არ შეგვიტყვიაო. ეს იგივე ყუზანოვია, რომელსაც თავის ცოლის მოწამვლას აბრალებენ, ცოლის, რომელიც ამ დღეებში, ზემოხსენებული გაზეთის სიტყვით, საშინელის ტანჯვით მომკვდარა.

შენიშვნა

ვიდრე სამეგრელოს ეპარხია შეუერთდებოდა იმერეთისას, ყოველი სამღრთო და საეკკლესიო წიგნები სასყიდლათ მოგვდიოდა ჩვენ ჩვენისავე მწყემსთ—მთავრის განკარგულებით სობორო მარტვილითგან, სადაც საეკკლესიო ხაზინადრებად იყვნენ ნეტარ ხსენებულნი დეკანოზნი: ლუკა და ეპიფანე ბაწერილიები, რომელთაც სხვათა თანამდებობათა შორის ჰქონდათ მინდობილი წიგნების გაყიდვაც, და იაფ ფასათაც ჰყიდდენ ასე, რომ მოსკოვ-თფილისიდან დაბარებული წიგნები მანეთის თავზე სამ კოპეიკ ანუ ხუთ კოპეიკის გზის ფულის მიმატებით და ამ განკარგულებისამებრ მრთელი სამეგრელო კმაყოფილი იყო.

1872 წელს, როდესაც სამეგრელოს ეპარხია შევიდა იმერეთის ეპარხიის უწყებაში, მაშინვე საეკკლესიო ხაზინა გარდატანილ იქმნა ქ. ქუთაისს და ამასთანავე დაიხშო მარტვილის სობორში წიგნთ-საცავი სახლიცა; ხოლო შემდგომ მიიცვალნენ ხსენებულნი დეკანოზნიცა; და იმ დროიდამ დავრჩით მრთელი სამეგრელოს სასულიერო უწყება უყურადღებოდ წიგნების მხრით ასე, რომ რაც წინათ ნაყიდი გვქონდათ, შემოგვაცვდა და ახალის ყიდვას კი ძრიელ სიძვირის მიზეზი ნებას არ გვაძლევს, არც საყიდი არსად იპოება.

ერთ დროს, როდესაც გავიგონეთ რომ მოსკოვიდამ საეკკლესიო წიგნების ტიპოგრაფია გადმოიტანეს თფილისშიო, საზოგადოთ გვიხაროდა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაგვიიეფდება წიგნებიო და ახლა მთლად იმისი ხსენებაც დაგვეკარგა.

სულით და ხორცით განათლებულს გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსს ჯერ-ჯერობით არავინ არ აგონებს, რომ საეკკლესიო წიგნები გამოიწეროს. ქუთაისის ზემო სობოროში ერთი ბერ-მონაზონი არის, მამა მაკარის ეძახიან, რომელიც ხანდისხან თავისი ღარიბი ჯიბის ფულით დაიბარებს თფილისიდგან რამდენიმე ეკზემპლიარს საეკკლ. წიგნებს და მერმე ჰყიდის; მაგრამ ულოცველობას საუმჯობესოდ შერაცხ, ვინემ იმისგან წიგნების ყიდვას და ამათი ლოცვას, რადგან მანეთიან წიგნში ორი მანეთი მიაქვს. მაგილითებრ, ჩვენში ეხლამდი დავითნი მანეთად იყო, ეხლა კი 1 მ. 50 კ., ჟამნი იყო 1 მ. 60 კ. ეხლა 2 მ. 70 კ. და სხ. და სხ...

ახლა კიდევ ამ სიძვირეში, როდესაც ჟამნ-დავითნის და სხვა საეკლესიო წიგნების სიძვირე გულს გვიკლავს, იმისთანა დროს მამა ბლაღოჩინს მღ. დავით ღამბაშიძეს გამოუცია ერთი სახელთ-მძღვანელო წიგნი სამღვდელოებისა და მართალიც უნდა მოგახსენოთ, ეს წიგნი ჩინებული სახელ-მძღვანელო ჩიგნია ჩვენი უმეცარი და უსწავლელი სოფლის მღვდლებთათვის და ძრიელ სასარგებლოც; მაგრამ რაღ გინდა, რომ ეს პატარა წიგნი ვერცხლის წონად რომ იყიდებოდეს, მადლობა ღმერთს, მაგრამ ვერცხლის წონათაც არ მოგვდის: იფიქრეთ ერთი ნამცეცი წიგნი არსენას ლექსისოდენა და 70 გინა 75 კოპეიკად არის!

სოფ. საჭყონდიდო, 19 სექტემბერს

მეგრელი მღვდელი

„დროების კორრესპონდენცია

თელავი, 16 სექტემბერს. ყველა საქართველოს შვილმა იცის, რომ ჩვენი მდაბალი ხალხი დარწმუნებულია იმაზედ, რომ „მკითხავი" არის ვითომც მოვლენილი ღვთაებრივი ბუნებით და ყოველმის წინასწარმეტყველობას ჰყავს თანაგრძნობილად და შემწეთ ერთი წმინდათაგანი, სახელდობრ: წმინდა გიორგი ალავერდისა, თეთრი წმინდა გიორგი, ღვთისმშობელი და სხვანი.

ამ გვარათ, როდესაც რომელსამე სოფელში პირველად გამოიჩენს თავის „მკითხავი", მაშინათვე ეს გარემოება მოახდენს ხოლმე გლეხკაცობაში რაღაც საკვირველს მოძრაობას და რავდენისამე დღის განმავლობაში „ცრუ წინასწარმეტყველის" გამოცხადებას შეიტყობს მრთელი უეზდი. ამაზედ დავრწმუნდი ამ დღეებში მე თვითონ:

ეს ერთი თვე არის, რაც თელავის მახლობლად, სოფელს კურდღელაურში დასახლებულა ერთი თფილისიდგან მოსული „მკითხავი" დედაკაცი. მე ეს არ ვიცოდი და შევიტყე მხოლოთ დღეს და ისიც შემთხვევით. დღეს 16 სექტემბერს მე დილით ადრე, მზის ამოსვლამდის დავსეირნობდი სამოქალაქო ბაღში, და დავინახე თხუთმეტიდან-ოცამდის მიმავალი თელავის დედაკაცი კურდღელაურისაკენ; რავდენსავე მინუტს შემდგომ ვა-

მოიარეს იმავე გზაზედ თორმეტმა დედაკაცმა და როდესაც მესამე და მეოთხე ამგვარმა პარტიებმა კიდევ გამოიარეს, მაშინ რაღაც ფიქრში შეეედი: მეგონა, რომ იმ სოფელში სადღესასწაულო, ეკკლესია იქმნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა რომ ის ხალხი მიდიოდა „მკითხავთან“. ეს რომ შევიტყე, მაშინვე გავეშურე იმათკენ და რავდენსამე მცნობს ქალს დაუწყე საყვედური ცრუ მორწმუნოებისათვის და ესეც უთხარი: რომ დაგარწმუნოთ თქვენს უმეცრებაში, მე თქვენს თვალწინ მივსცემ „მკითხავს“ წინადადებას რომელსამე პირზედ ანუ საგანზედ და როდესაც დაინახავთ, რავდენს ტყუილს იტყვის ის უფალი, მაშინ ხომ დაიჯერებთ რომ ყოველივე „მკითხაობა“ არის სიცრუე-მეთქი? მომეტებული ნაწილი ქალებისა წინააღმდგა იმაზედ და მარწმუნებდნენ, რომ იმისგან ტყუილის თქმა შეუძლებელიაო, მაგრამ ბოლოს დამეთანხმნენ და მოსცეს ნება, რომ მე გამომეცადნა ის „მკითხავი“. ამასობაში კიდეც მივედით იმის სახლში. ესეც უნდა ვსთქვა, რომ მე ჩემს თანამოგზაურებს გზაშივე გამოუცხადე ის საგანი, რომელზედაც ვაპირობდი კითხვის მიცემას.

ამოვიღე ჯიბიდგან ერთი ჩემის ამხანაგის ხელცახოცი, რომელიც წინა დღეს სხვა საჭიროებისათვის მქონდა გამორთმეული, მივეცი „მკითხავს“ და უთხარ: —ეს ხელცახოცი ეკუთვნის დ—ს და შემიტყე, იმისი ავი და კარგი მეთქი. მკითხავმა, მანამ დაიწყებდა თავის წინასწარმეტყველობას მომთხოვა ერთი აბაზი ფული, ორი წმინდა სანთელი და მცირედი საკმელი. ფული მივეცი და სანთელ-საკმელზედ კი უარი უყავ, რადგანაც არცა მქონდა და არც ვიცოდი თუ მკითხაობის წესდებულება მოითხოვდა ამას. მაშინ გამომართვა იმან კიდევ ერთი შაური და ამოიღო თავის სკივრიდგან ერთი შეკრული ქაღალდი ათ გირვანქამდის წმინდა სანთელი და იქიდგან მომყიდა ერთი შაურის სანთელი. (შაურათ მომცა ორი ყვითელი სანთელი რომელიც ღირს დუქანში ერთს კაპეიკად). აანთო მცირედი საკმელი და ერთი სანთელი; მეორე მუხლქვეშ შეინახა. მერმე დაიწერა პირსჯვარი და დაიწყო:

—ღმერთო ყოველის შემძლებელო, უცვალებელო და წმინდავ, რომელმაც მამყოფე ექვსი თვე მშიერი, კუტი და მუნჯი და შთამაგონე ყოველი შენი საიდუმლო,—მომხედე მე მხეალსა შენსა ესლაც, და მიჩვენე ყოველივე, რაიცა გარდაჰხედია და გარდახდებოდეს დ—ს.

შემდგომ ამისა გაშალა სათამაშო ქაღალდი და მითხრა:

—დ. გადარჩენილა ერთხელ წყალში დარჩობას და კიდევაც მოელის ფათერაკი. დოელათიანი კაცია და გულმოწყალე, კაცისათვის სულიც არა ჰშურს და იღბალი კი არა აქვს. ის როგორც მდიდარი კაცი ეკიდება ერთს მძიმე საქმეს. მოწინააღმდეგე ამ განზრახვაში ბევრი ჰყავს, მაგრამ ის მაინც თავისას შეასრულებს.

ამ სიტყვებზედ ზოგიერთმა ქალებმა, რომელნიც იცნობენ დ—ს, შექმნეს სიცილი, რადგანაც იციან, რომ დ—ში არაფერი სიმდიდრე არ იპოვება და ვერც მძიმე საქმეს შეუდგება.

რომ უკეთესად დამერწმუნებინა ის ქალები,—მე მივეცი „მკითხავს“ მეორე კითხვა ჩემს შვილს დ—ზედ. ბამბამართო მეორეთ ხუთი შაური, ააწთო კიდევ სანთელ-საკმელი და მითხრა:

—ეს, პირი რომელზედაც მე გავშალე ქაღალდი, აპირებს ცოლის შერთვას, მაგრამ ტყუილათ კი. ის იქმნება უბედური: ის არის დედაკაცის ხელით მოწამლული მთვარის თხუთმეტში. იმისი თმა არის მოპარული და დამალული მიწაში. და არის საშინელი ფულის მხარჯველი. ნუ გბედავს ცოლის შერთვას, მანამ არ განთავისუფლდეს ამ „შეკრულობისაგან“, რომლის განკურნება ვგონებ ჩემს მეტმა ვერავინ შეიძლოს.

ის ყმაწვალი, რომელსაც შეეხება მკითხავის წინასწარმეტყველობა, არის პატარა ასე, რომ ამ თვის 29 შესრულდება ოთხის წლისა!..

ეს კი ასე გახლავთ, მაგრამ მაინც ჩვენს ახალს „მკითსავს“ დღეში ხუთი და ექვსი მანეთი არ აკლია ტყუილის ლაპარაკისათვის. ხალხი მოუწყვეტლივ მიდის იმასთან და მიეზიდება უკანასკნელს გროშს. ხალხი ღარიბდება და ეს კი მდიდრდება. აღგილობრივი მამასახლისი ამაზედ ხმას არ იღებს და თელავის პოლიციას ჯერ მისი მოსვლა, ეტყობა, არ შეუტყვია.

ამ დედაკაცს მე ვიცნობ: ეს არის გლეხკაცის ქალი; მოუკვდა პირველი ქმარი და მეორე დღესაც ცოცხალი ჰყავს თავდანებებული; ოთხი-ხუთი წლის წინათ მშადი ენატრებოდა, ეხლა ჩაისაც აღარ გიახლებათ თუ სუნარი არ შეატანა. აქამდის ჩითის კაბაც არ ეცვა, ეხლა ფარჩებს სცვეთავს; ახლა იმისი თითები ნახეთ რავდენი ოქროს ბეჭედი აქვს აბსმული ძვირფასი თვლებით...

Oგლაველი

საგაასო

პასუხი უფ. ალექსანდრე ფულუკიძეს

ჩემს კალამს თქვენზე, უფ. ალექსანდრე ფულუკიძე, რაღაც აღმაშფოთებელი გაელენა აქვს. რას მივაწერო ეს გარემოება, სწორეთ მოგახსენო, არ ვიცი: შეიძლება თქვენ გეშინოდეს „დროების“ რაჭველი კორესპონდენტის პორტფელის დაკარგვა, მაგრამ ეს ტყუილი შიშია, რადგანაც რაც უნდა ვიწროა ქვეყანა იყოს ჩვენი რაჭა, ის მაინც თავისუფლად დაიტევს თავის ზურგზედ ორ მჭლე კაცს. ჩემმა პირველმა კორესპონდენციამ თქვენ ერთობ გაგაჭდამათ და, ღმერთმა იცის, რამდენი უმსგავსობაები არ გამოგათქმევინათ, მაგრამ ისენი უყურადღებოთ გაუშვი რადგანაც თქვენს შენიშვნას პირ-და-პირ გამოთხოვის, პირ-და-პირი პერჩატკის სროლის ხასიათი არ ედვა. მე ვამბობ—„თქვენ გაგაჭდამათ“, იმიტომ რომ, თუ არა ეს ცდები, ჩემ პირველ კორესპონდენციაზე შენიშვნის ავტორი, ფსევდონიმით—„ჩხრეკია-რაჭველით“ მიფარული თქვენა ხართ, და თუ ეს ასეა, ვნანობ, რომ ჩემმა სიბნელემ თქვენს ბრწყინვალებას პირველადვე პასუხი არ გასცა...

მაგრამ რაც იყო იყოს, წარწყული დავივიწყოთ და მიუბრუნდეთ აწ-მყოს.

ჩემ სტატიაში რაჭველ გლეხზე თქვენ დაიწახეთ თქვენი თავი ძალად კ...ნ-დასობილად, რადგანაც თქვენ (არ ვიცი რისთვის) სთვლით თავის თავს აბსოლიუტურათ პატიოსან კაცათ და გაქვსთ ანირებული სურვილი სხვებმაც ამ ნაირ კაცად გიყურონ. მეკი არა და სხვებმა როგორც ერჩიოთ ისე გიყურონ, თუნდ პატიოსნების იდეალათ გსახონ, ყველას თავისი იდეალი აქვს და თავისებურათ ზომავენ, თავისებურად აფასებენ კაცის მოქმედებას და ყოფა-ქცევას, თუმცა ზოგიერთი საგნების შესახებ, ჩემის ჰაზრით, ყველას ერთი და იგივე კრიტერიუმი, ერთი და იგივე ნორმა უნდა ჰქონდესთ; მაგრამ რა ვჰქნათ, როდესაც ეს ასე არ არის აფრიკელ ბუშმენს, ამერიკელ ოცს, ოსმალელ ბაშიბუზუკს და ევროპიელს არა აქვთ ერთი იგივე შეხედულობა ესთქვათ, პატიოსნებაზე, იდეალზე და სხ.

რატომ ეს ასეა, ამის ახსნას არ ვსთვლი საჭიროდ, რადგანაც თქვენც ადვილათ მიხვედებით. შეიძლება ან მე, ან თქვენ სულ სხვა შეხედულობა გექონდეს პატიოსნებაზე, ვინემ მთელს კაცობრიობას. ორიევ შემთხვევაში გამოდის, რომ ის, რაც თქვენ პატიოსნებათ გგონიათ, მას მე ეეძახი უპატიოსნებას; ის ბატონები, რომლებშიდაც თქვენ დიდ პატიოსნებს ჰპოულობთ, მე უპატიოსნები მგონიან.

აი მაგალითებრ, თქვენ ამბობთ:

„დიდი სირცხვილი არის უსაფუძვლოთ გალანძღვა მთელი ჩინოვნიკობისა, რომელშიაც შეიძლება (ჰმ, შეიძლება!!— შეუძლებელი, ამბობენ, არაფერი არ არის ქვეყანაზეო) ისეთი პირები აერჩნენ, რომელნიც ბევრათ უფრო კეთილს ზრუნავენ გლეხებისათვის, ვინემ უფ. ბოგოლეთეთი.“

აქ ისევ უნდა მოგახსენო, რომ თქვენი სიტყვები: სირცხვილი, ლანძღვა—სხვებრ გაგებებათ, ვინემ თქვენ მორჩილ ყმას. მე დარწმუნებული ვარ, რომ დაფარვა თავის ამხანაგების უპატიოსნებისა, რომელიც უმრავლესობისათვის მაგნებელია,

სირცხვილი კი არა, სირცხვილზე მეტიც არის; თქვენ კი ეს პატიოსნება გგონიათ. მაშ სხვით რითი აეხსნათ ის მოვლენა, რომ თქვენ მშვენიერად იცით, თქვენი ამხანაგები მუდამ ძღვენს იღებენ და ხმას არ იღებთ? თქვენ კარგად იცით, რომ ეს გლეხისათვის საზარალოა და არა სასარგებლო და ჩუმათ კი ხართ. განა ეს პატიოსნება არის? ჩემის აზრით არა, თქვენის აზრით შეიძლება პატიოსნებაზე მეტიც იყოს. ჩემის აზრით ამგვარი ქცევაა სირცხვილი, თქვენის აზრით კი წინააღმდეგი.

ერთი სიტყვით გამოდის, რომ პატიოსნება სხვა და სხვა სფერაში სხვა და სხვა ყოფილა: კანცელიარული, ბიუროკრატული პატიოსნება სხვა ყოფილა; საზოგადო მომქმედებ შორის პატიოსნება სხვა ყოფილა; სწავლულებ შორის სხვა, სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკებს შორის სხვა; მასწავლებლებ და მოსწავლეებ შორის სხვა და სხ. ამის შემდეგ, მოდი და გამართე თქვენთან პოლემიკა!

აი კიდევ მეორე სიტყვა—ლანძღვა. ამბობთ, ლანძღვა სირცხვილი არის და თავათ კი ილანძღებით: იღებთ ჩემს ფსევდონიმს და მეცადინეობთ იმ ნაირად მიმოხვრათ, რომ ლანძღვა გამოვიდეს—გოგოლეთელის მაგიერათ სწერთ: გოგოლეული, გოგოლეული. ეს რას გავს, იცით?—ბავშვების კინწლაობას, რომლის შემდეგ ერთი მეორეს სახელს უგონებს.

მაგრამ ნუ სწუხართ, მაგიერობას ნუ მოელით.

მე წინააღმდეგი არ ვარ იმ აზრისა, რომ მთელ ჩინოვნიკობას შორის ერთიორი ისეთი ჩინოვნიკები აერჩნენ, რომლებიც არც პატიოსნებას შვრებოდნენ და არც უპატიოსნებას; მაგრამ განა არ იცით, რომ როდესაც უმრავლესობას ღებულობენ ხოლმე, უმცირესობას აღარ იხსენიებენ, მაგ., როდესაც ამბობენ—იმერეთს მუცელა მოედვაო, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მთელს იმერეთში ერთი პატარა, მივარდნილი სოფელი არ მოიძებოდეს, სადაც რომ მუცელა არ იყოს? ან როდესაც ამბობენ, საფრანგეთი გარყვნილი ქვეყანა არისო, იქნება, გეგონათ, იქ არც ერთი პატიოსანი კაცი არ მოიპოვებოდა? სცდებით.

ვიმეორებ მე შემიძლია დაგეთანხმო, რომ მთელ ჩინოვნიკობაში ზოგიერთიისეთი პირები მოიპოვონ, რომელნიც არც პატიოსნებას ჩადიან და არც უპატიოსნოებას, მაგრამ ვერას გზით ვერ დაგეთანხმები, რომ თქვენ შორის ან ერთი იყოს ისეთი პირი, რომელიც კეთილს ზრუნავდეს გლეხებისათვის. შეიძლება ეს ზოგიერთი პირები ასრულებდენ თავის მოვალეობას კანცელიარული პატიოსნებით და ამას გარდა გლეხებს არ ცარცვავდენ, და გათავდა. აქედგან განა გამოდის, რომ ეს პირები გლეხებისათვის კეთილს ზრუნავენ? ავიღოთ, მაგალ., ჩინოვნიკი ალ. წულუკიძე, რომელიც დიდის გაჭირვებით შეგვიძლია შევიყვანოთ იმ ორიოდე ჩინოვნიკების კატეგორიაში, რომელნიც, ჩემის შეხედვით, არც პატიოსნებას ჩადიან და არც უპატიოსნებას. განა ის კეთილს ზრუნავს გლეხებისათვის? რაშიდ გამოაჩინა მან ეს კეთილი ზრუნვა? იქნება იმაში, რომ ისეთი პატიოსანი შრომა, როგორიც არის მასწავლებელის შრომა, დააგდო და მოჰკიდა ხელი უფრო ადვილ და უფრო შემოსავლიან შრომას: დააგდო მასწავლებლობა და გახდა სუდებნი პრისტავათ? ან, შეიძლება, იმაში რომ საწყალ ელეხებს, რომელთაც ონელი ურიები სულსა ხთიან ხოლმე, ხელს ხსნიდეს, ფულებით, ან სხვით რაიმეთი ეწეოდეს?—თქვენც არ მომიკვდეთ! იმას რომ ასე უჭკუოთ ფულები ებნიოს, იმ დარბაზსაც ვერ გამოსჭიმავდა ქუჩაზე, რომელშიდაც ახლა ასე ლაზათიანათ ნებივრობს. ან შეიძლება, პროგონის ფულებს არ ღებულობდეს, როდესაც ონიდამ სოფლებში დასეირნობს ტოროლში გასასყიდელი ადგილების ასაზომავათ და [illegible]? არ დაიჯეროთ—ღებულობს. მაშ რითი კეთილ ზრუნავს გლეხებისათვის? არაფერით. ის მარტო კანცელიარულ პატიოსნებით ასრულებს თავის შემოსავლიან ხელობას, მოვალეობას...

გოგოლეთელი

(გაგრძელება)

განცხადებანი

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად **მელანს** და აგრეთვე ვყიდი წალების და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **მაზს** რომ **წყალი ვერ გაატანს.** ერთს ბოთლს მელანს ვყიდი: უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ ადრესით მომართოს: არწრუნის ქარვასლაში, № 82

სტეფან ხუდადოვი

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

პლატონ იოსელიანისაგან გამოცემული ქართულ იწიგნი: **თამარ მეფის და მის მეუღლის შესხმა—აბდულ-მესსია** შავთელისაგან და აგრეთვე მეორე წიგნი ჩახრუხაძისა.

თითო წიგნის **ფასი ორი შაური:**

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, ვართანოვის და ბრიქურიანცის საწიგნო მაღაზიაში:

“ქვრივის სიმღერა“

და სხვები

ქუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, გუბერნიის სტამბაში, ბულვრის პირ-და-პირ.

ფასი ყველგან ერთი შაური-5 კაპ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 17 ენკენის.		
ერთი ქანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 259 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	$7^{1}/_{2}$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	208	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	208	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის. .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ,	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 23 ენკენის.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	90
ფქვილი წითელი. . .	1	45
ქერი ფუთი. . . .	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
— ამერიკისა, ფუთი. .	8	50
გაპენტილი ბამბა ფთ.	9	50
მატყლი თუშური ფთ .	7	—
— თარაქამისა ფთ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
— ფხვნილი ფუთი . .	7	20
ყავა გრგვალი, ფუთი .	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
ოქრო $^{1}/_{2}$ იმპერიალი. .	8	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Сентября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.